საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**ბრძანება №-01-08/537**

ქ. ბათუმი 16- ოქტომბერი, 2020 წელი

**ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს მოქალაქე ლუკა დვალის ჩარიცხვის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, 52–ე მუხლის მე–3 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების, ,,საქართველოს მოქალაქეებისა და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებული პირებისთვის, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარის მომზადების ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, ჩარიცხვისა და დაფინანსების უფლების მინიჭების შესახებ'' საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 08 სექტემბრის MES 8 20 0000902541 ბრძანების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსის ნინო წერეთლის 2020 წლის 29 სექტემბრის MES 8 20 0000909409 წერილის, ლუკა დვალის 2020 წლის 06 ოქტომბრის MES 4 20 0000950689 განცხადების, ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 16 ოქტომბრის MES 8 20 0000994496 მოხსენებითი ბარათის, ლუკა დვალთან 2020 წლის 13 ოქტომბრის № 21-15/420-2002/ბ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს მოქალაქე ლუკა დვალი (პ/ნ 61001073733) ჩაირიცხოს ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან.

2. ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

3. ბრძანება დაეგზავნოს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს და ლუკა დვალს, ასევე განთავსდეს მის პირად საქმეში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის №30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში